ანგარიში
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების
დეპარტამენტის მიერ 2013 წელს გაწეული
მუშაობის შესახებ.

დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთი) გადმოსული თანამემამულეების მიღება-განსახლების პროცესში მონაწილეობა და მათთვის გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა, შემდგომ კი დასაქმება და ადაპტაცია-ინტეგრაციაში ხელშეწყობა, ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართობების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, უცხოეთიდან დაბრუნებული აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა, დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წყაროების მოძიება, მოპოვებული რესურსების დევნილებზე განაწილება და მათთვის ადგილზე მიწოდება, აფხაზეთის მთავრობასა და მის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ.

დამტკიცებული დებულების შესაბამისად დეპარტამენტშიარის 31 საშტატო მუშაკის თანამდებობა. მათ შორის: თავმჯდომარე – 1 (დ.გვაძაბია), თავმჯდომარის მოადგილე 2 (ვ. ცანავა და გ. ბულისკერია), თავმჯდომარის აპარატის უფროსი-1 (თ. ხასაია), თავმჯდომარის მრჩევლები-3 (მ.ეფაძე, გ.აბსანძე, ხ.ცატავა), მთავარი ბუღალტერი -1 (მ. ლაგვილავა). დეპარტამენტში ფუნქციონირებს 4 განყოფილება: I-ადმინისტრაციული განყოფილება, უფროსი- 1 (ჯ.არქანია), მთავარი სპეციალისტი 4 (ნ. გოგოხია, ი. დარჯანია, ე. ჯაფარიძე, დ. ჩიქოვანი), უფროსი სპეციალისტი (ლ. აბსანძე.)II- დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილება, უფროსი-1 (გ.გვაზავა), განყოფილების უფროსის მოადგილე -1 (რ.ფაჩულია), მთავარი სპეციალისტი – 4 (ნ.აფაქიძე, მ.გასვიანი, ზ.ჯაფარიძე, გ.თორდია), უფროსი სპეციალისტი 1(მ.ფიფია). III სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, უფროსი-1 (ე.ძიმისტარაშვილი). მთავარი სპეციალისტი-2 (დ.შალამბერიძე, პ. ლომიძე), უფროსი სპეციალისტი- 2 (ნ.ჯაჭვლიანი, ნ.კოტუა) IV-ჰუმანიტარული დახმარების განყოფილება, უფროსი-1 (დ.გადელია), მთავარის პეციალისტი-2 (ნ.ჯეჯეია, კ. ჯიქია), უფროსი სპეციალისტი 2 (დ.ადამია, ნ.ლემონჯავა). დღეისათვის დაკავებულია ოცდათერთმეტივე საშტატო ერთეული.

გარდა ამისა, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დეპარტამენტში მუშაობს 6 თანამშრომელი (ი.გოგუა, ე.ბიგვავა, ბ.ხარძიანი, ა.ცაავა, გ.ქირია და ნ.პირველი), რომლებიც ასრულებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

დეპარტამენტის მონაწილეობით დევნილთა მიმართ 2013 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალში აღსანიშნავია შემდეგი:

დეპარტამენტის მოხელეთა მიერ სისტემატურად ხორციელდება შეხვედრები დევნილებთან ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახლემწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედოგეგმის განმარტებასთან დაკავშირებით;

- დეპარტამენტის მოხელეთა მიერ 2013 წლის განმავლობაში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია 300-მდე აფხაზეთიდან იძულებით გადადგილებულ პირს;

_ კოლექტიურ ცენტრებში განსახლებულ დევნილებს მათი დასაქმების მიზნით სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია ქ. თბილისის წარმოებებსა და დაწესებულებებში არსებული ვაკანსიების შესახებ, რის შედეგად დასაქმდა დევნილთა გარკვეული რაოდენობა;

ქ.თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 3596 ბავშვს დაურიგდა საქველმოქმედო ფონდი ,,კეთილი სამარიტელი საქართველოში''-მიერ მოწოდებული საშობაო საჩუქრები. მათშორის: სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონში – 465 ცალი, იმერეთის რეგიონში–320 ცალი, ქ. ბორჯომში – 335 ცალი, ქ.თბილისის კერძო სექტორში განსახლებულ ბავშვებს – 329 ცალი, ქ.თბილისის ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებში -1703 ცალი, ზემო აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს-316 ცალი, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს-14 ცალი, ონკოლოგიური საავადმყოფო, ბერი ანდრიას სახელობის ფონდი-21 ცალი, აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება ,,ჰერა'' - 93 ცალი.

_ ქ.თბილისში მუხიანის დასახლებაში ოპტიკის შენობაში და ბაქოს ქუჩის#1-ში მდებარე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს (300-მდე ოჯახი) აფხაზეთის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ჩაუტარდათ კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევები და გადაეცათ მედიკამენტები. დეპარტამენტმა უზრუნველყო მობინადრეთა მობილიზება, ღონისძიების ჩასატარებლად ფართის მოძიება და დევნილების მეშვეობით მისი სათანადო მომზადება (დასუფთავება, ელგაყვანილობის მოწესრიგება დასხვა).

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქ. თბილისში მდებარე კომპაქტურ ჩასახლებაში (აეროდრომის დასახლება, ლილოს დასახლება, ქინძმარაულისქ. #10, აფხაზეთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოება "ჰერა") მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ 51 ოჯახს გადაეცა სააღდგომო ნობათი

(კვერცხი, პასკა, ღვინო, გამაგრილებელი სასმელები, ხილისწვენი, ძეხვი, შოკოლადი, რომელიც შეგროვდა დეპარტამენტის მიერ მწარმოებელ ორგანიზაციებთან (შპს,,იფქლი, შპს ,,გაგრაპლიუსი, შპს ,,მითანა'', შპს,,თელიანი თრეიდინგი", შპს მეღვინეობა ,,ხარება" და სხვა) თანამშრომლობის შედეგად;

- 2013 წლის 24 მაისს საქართველოს იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალებით დეპარტამენტის თანამშრომელთა ჯგუფი იმყოფებოდა ქ. თბილისის ყოფილი #110-ე სკოლის შენობაში, სადაც შეჭრილი იყო 27 აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი. დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მათ განემარტათ საქართველოს კანონმდებლობი თ გათვალისწინებული უფლება – ვალდებულებები, რამაც ხელი შეუწყო ობიექტზე დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას;

- 2013 წლის 10 მაისს დეპარტამენტში შედგა შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციის"SAVE THE FUTURE GENERATION''-ის კოორდინატორთან საქართველოში ბატონ მ. გამსახურდიასთან, რომელზეც განხილულ იქნა დევნილთა პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები და მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთობლივ თანამშრომლობაზე.

- 2013 წლის 17 მაისს დეპარტამენტში შედგა შეხვედრა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ACF INTERNATIONAL" – ის წარმომადგენლებთან, რომლებიც ძირითადად დაინტერესდნენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონი) დარჩენილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და საყოფაცხოვრებო პირობებით, მიმოსვლის საკითხებით, მათთან კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობებით. აგრეთვე, მათი ინტერესის სფეროში შედიოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა აღნიშნული ბენეფიციარებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა დაა.შ;

- 2013 წლის 5 ივნისს დეპარტამენტში შედგა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კავკასიის განვითარება''-ს წარმომადგენელთან ქალბატონ ქ. ცხოვრებაშვილთან, რომელზეც განხილულ იქნა დევნილთა საჭირბოროტო საკითხები და დაისახა ერთობლივი სამოქმედო გეგმა;

- 2013 წლის 17 ივნისს დეპარტამენტი მიწვეული იყო ქ. თბილისის მერიის შენობაში გამართულ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ,,ერთი ფანჯრის პრინციპის'' საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელზეც ქ. თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მხარეების და მათი ოჯახების პრობლემების განხილვა და გადაჭრის ხელშეწყობა წარმოადგენდა დღის მთავარ თემას. შეხვედრაზე განხილულ იქნა რამოდენიმე შემთხვევა, რომელსაც თავად წარმოადგენდნენ იძულებით გადაადგილებული პირები. გამოყენებული ერთი ფანჯრის პრინციპის მეთოდოლოგია ხშირად გამოიყენება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების პრობლემების მოსაგვარებლად. ზემოაღნიშნილი საკონსულტაციო შეხვედრა ტარდებაპროექტის (ქალების თანასწორობის, მშვიდობისა დაგანვითარებისათვის) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნორვეგიის მთავრობის

მხარდაჭერით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის “UN WOMEN”-ის მიერ, ქალთა საინფორმაციო ცენტრთან და ფონდ ,,ტასოს'' – თან. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო ღრმად ჩავწვდეთ დევნილთა პრობლემატიკას და მომავალში გამოვიყენოთ მიღებული გამოცდილება;

- ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ “FINSOL”-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარე წლის 4 ივლისს სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები 12 ბავშვი ორი თვის ვადით (2013 წლის ივლისი-აგვისტო) გაიგზავნა დასასვენებლად მოხალისე ოჯახებში ესპანეთის სამეფოში. დეპარტამენტის თანამშრომლები დაკავებული იყვნენ სათანადო დოკუმენტების (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ვიზა, ავია-ბილეთების დაჯავშნა დასხვა) შეგროვებით ბავშვების ესპანეთში გამგზავრების უზრუნველსაყოფად. აფხაზეთის მთავრობისა და ბავშვების მშობლების სახელით დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული ფონდის ხელმძღვანელს გაუგზავნა მადლობის წერილი. დევნილი ბავშვების ესპანეთში გაცილების პროცესი გაშუქდა მასმედიით;
- დეპარტამენტი პერმანენტულად აწარმოებს ქ. თბილისში მდებარე დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში (არაპრივატიზირებული ობიექტები) და ამხანაგობებში (პრივატიზირებული ობიექტები, რომლებიც გადაეცათ დევნილებს კერძო საკუთრებაში) არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის და იქ ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირების საყოფაცხოვრებო პირობებისა და სოციალური მდგომარეობის შესწავლას. მოპოვებული ინფორმაცია იტვირთება სპეციალურად გახსნილ ბაზაში, მისი განახლებისა და შემდგომი გაანალიზების მიზნით;
- 2013 წლის 29 ივლისიდან დეპარტამენტი ჩართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პროექტში, რომელიც ითვალისწინებს დევნილთა გრძელვადიან განსახლებას ქ.თბილისში მდებარე რეაბილიტირებულ საცხოვრებელ კორპუსებში. სამინისტროს სამუშაო ჯგუფის განთავსებისა და ფუნქციონირების მიზნით დეპარტამენტის მიერ გამოყოფილ და მოწესრიგებულ იქნა (შეკეთდა ელგაყვანილობა, უზრუნველყოფილ იქნა ინტერნეტის მიწოდება და ა.შ.) სპეციალური ოთახი. აღნიშნული პროცესის ხელშესაწყობად დადგინდა დეპარტამენტის თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი. საკონკურსოდ გამოცხადებულ 7 შენობაში (ყვარლის ქუჩა #101, ჯიქიას ქ. #5, გარდაბნის გზატკეცილი #6, თემქის მე-3 მ/რ მე-4 კვარტალი, ღოღობერიძის ქ. #3, გლდანის მე-3 მ/რ, ბაბუციძის ქ. #12) საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნით, 2013 წლის განმავლობაში სააპლიკაციო განაცხადის ფორმები შეავსო ქ. თბილისში რეგისტრირებულმა 6700-მდე დევნილმა ოჯახმა. აქედან სარეიტინგო ქულების შეჯამების შედეგად, პრიორიტეტმინიჭებულმა 84 ოჯახმა მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში მიიღო სახელმწიფოს მიერ ახალგარემონტებული, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი. დეპარტამენტი დღესაც აგრძელებს ხელშეწყობას სამინისტროს სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირებაში.

- 2013 წლის ოქტომბრის თვეში,ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა #223-ში მდებარე სს ,,თბილგაზი''-ს მიწისქვეშა ლითონდაცვის სამმართველოს ყოფილ შენობაში, კომპაქტურად ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილი 16 ოჯახის კოლექტიურ განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა საცხოვრებელ კორპუსში სველი წერტილების დამონტაჟებას, დეპარტამენტმა ოპერატიულად მოახდინა რეაგირება და შესაბამის ორგანოებთან მოლაპარაკების შედეგად მოაგვარა აღნიშნული საკითხი;

- 2013 წლის ნოემბერში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის ხვიჩა ჭანტურიას განცხადებაზე, რომელშიც ის ითხოვდა რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული თავისი ოჯახის წევრების პირადი დოკუმენტების (პირადობის და დევნილის მოწმობა) მოწესრიგებას და საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებას, დეპარტამენტმა გატარებული ღონისძიებების შედეგად უზრუნველყო შესაბამისი საბუთების შეგროვება და მათი ჩაბარება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, რათა რუსეთიდან დაბრუნებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა მიიღონ ორმაგი მოქალაქეობის სტატუსი. დეპარტამენტი აგრძელებს ზრუნვას აღნიშნულ ოჯახზე ბინით დაკმაყოფილებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით (სურსათით უზრუნველყოფა, ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების მიწოდება);

- აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ გაწეული ერთობლივი მუშაობის, ქ. რუსთავის მერიასთან შუამდგომლობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხელშეწყობის შედეგად, 2013 წლის 13 დეკემბერს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მოხუცებულთა სახლში თავშესაფარი მიიღო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა-დევნილმა, 77 წლის მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსმა, მარტოხელა ინდიკო კვეკვესკირმა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ცხოვრობდა სოფ. კუმისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადამიანისათვის გაუსაძლის პირობებში;

- 2013 წლის განმავლობაში დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა მიერ შესწავლილი დოკუმენტების (დევნილთა განცხადებები) საფუძველზე შედგენილი შუამდგომლობის წერილების (სულ 24 ერთეული) პასუხად, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ 19 ოჯახზე აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა მატერიალური დახმარება 5550 ლარის ოდენობით;

_ გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ქ. თბილისში მდებარე კომპაქტურ ჩასახლებებში _ გ.ზაზიაშვილის ქ #13ბ-შიყოფილი #96 ბაგა-ბაღისშენობა (11 ოჯახი), ც. დადიანისქ. #150ა ყოფილი #27 ბაგა-ბაღისშენობა(12 ოჯახი), ალ.ყაზბეგის გამზირი #22 ყოფილი სისხლის გადასხმის ინსტიტუტის შენობა(12 ოჯახი), აფხაზეთის ომში შვილდაღუპულ დედებს (20 პიროვნებაზე)_სულ 55 დევნილ სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარებისკ ალათა (2კგ. ფქვილი, 2 შეკვრა შაქარი, 1 შეკვრა ბრინჯი, 2 შეკვრა მაკარონი, 1 ქილა შედედებული რძე, 1 ლ. მცენარეული ზეთი),

რომელიც შეგროვდა დეპარტამენტის მიერ პარტნიორ (დონორი) ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შედეგად;

_ 2013 წლის 14 ნოემბრიდან 29 ნოემბრის ჩათვლით, დეპარტამენტისა და საქართველო - ფინეთის ურთიერთობათა ასოციაცია ,,თბილისი-ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსთვის~ (პრეზიდენტი მანანა კვენეტაძე-მაჭავარიანი) ურთიერთობისა და მეგობრობის შედეგად აფხაზეთი დანდევნილმა აფხაზი ეროვნების 4 მოზარდმაL(ლოლიტა არჯენია, ალისა ძვაბავა, ბელა ფიფია, მურთაზ ფაჩულია) სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნების მკვიდრ ბავშვებთან ერთადL მიიღო მონაწილეობა აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ პროექტში ,,მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, უკეთესი მომავლისთვის, გავეცნოთ, ვენდოთ ერთმანეთს!“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა საქართველოს ისტორიის, კულტურის გაცნობის, მასთან დაახლოების და მის წიაღში ინტეგრაციის სურვილის გაჩენის მიზნით შემოიარეს ქვეყნის კუთხეები – კახეთი, ქართლი, მცხეთა მთიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, სადაც ტარდებოდა შეხვედრები თანატოლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. იმავე პროექტის ფარგლებში, 21 ნოემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით, დევნილი ბავშვები ჩაიყვანეს მაღალმთიან კურორტ გუდაურში, სადაც მათ მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სახის სპორტულ და კულტურულ პროგრამებში.

- სოციალურად დაუცველ დევნილთათვის საახალწლო ნობათისა და საჩუქრების გადაცემის მიზნით დეპარტამენტმა 2013 წლის ნოემბრის თვეში მიმართა ქ. თბილისში მდებარე სურსათმწარმოებელ ორგანიზაციებს (შპს,,კანტი, შპს ,,ბაგრატიონი'', შპს ,,ბადაგონი, შპს ,,თბილისის ფქვილი'', შპს ,,ბავშვთა სამყარო, შპს ,,მითანა'' და სხვებს) საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის მიზნით, რასაც, ზოგიერთი მათგანისგან, მოჰყვა გამოხმაურება;

-2013 წლის 25 დეკემბერს კ.მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ ,,საახალწლო ცეცხლოვან შოუ''-ს დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი ჭანტურია-მარშანიების მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 5 ბავშვი, რომლებსაც წარმოდგენის შემდეგ დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები;

- 2013 წლის 27 დეკემბერს სამეგრელ-ზემო სვანეთის რეგიონში ქ. სენაკის ყოფილი #139 პროფსასწავლებლის პირველ და მეორე კორპუსებში კომპაქტურად განსახლებულ 80 დევნილ ოჯახს დეპარტამენტმა საჩუქრად გადასცა საახალწლო ნობათი (ფქვილი,რძე, ზეთი, მაიონეზი, ყავა, ლიმონათი, ღვინო, ტკბილეული) . საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღეს შპს ,,კანტ“-მა , შპს ,,ბადაგონ“-მა, შპს ,,თბილისის ფქვილ“-მა და შპს ,,ბავშვთა სამყარო“-მ;

- 2013 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისის მერიის მიწვევით, საგანმანათლებლო ცენტრ ,,მუზა“-ში გამართულ ბასტი-ბუბუს კონცერტს დაესწრო 40 დევნილი ბავშვი, სადაც მათ დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრებად ბავშვების შეტყობინება და ადგილზე მიყვანა;

- 2013 წლის 28 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობაში შეკრებილ აფხაზეთის ომის I ჯგუფის ინვალიდ მეომრებს გადაეცათ საახალწლო ნობათი (შამპანიური, ტკბილეული, ყავა, ხილის წვენი, კოკა-კოლა);

- 2013 წლის 30 დეკემბერს ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი # 23-ში მდებარე ყოფილი სატანკო ქარხნის ბაგა-ბაღის შენობაში განსახლებულ 22 ოჯახს გადაეცა საახალწლო ნობათი (ტკბილეული, ღვინო, შამპანიური, ყავა, ხილის წვენი, კოკა-კოლა) ;

- 2013 წლის 30 დეკემბერს წყნეთში განსახლებულ სოციალურად დაუცველ 16 დევნილ ბავშვს გადაეცა საახალწლო საჩუქრები (ტკბილეული,ხილის წვენი, გამაგრილებელი სასმელები და სხვა).

– 2013 წლის 30 დეკემბერს ქ.თბილისში განსახლებულ 14 სოციალურად დაუცველ დევნილ ოჯახს გადაეცა საახალწლო სასურსათო ნობათი.

2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით **დოკუმენტბრუნვამ** (იხილეთ დანართი) შეადგინა 1558 ერთეული.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში შემოსულია 926 დოკუმენტი.

მათ შორის :

_ 176 წერილი აფხაზეთის მთავრობიდან;

_ 7 წერილი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოდან;

_ 99 განცხადება მოქალაქეებიდან;

_ 334 აფხაზეთის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ;

_ 124 შიდა მიმოწერა;

_ 103 დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანება

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტიდან გასულია 632 დოკუმენტი.

მათ შორის:

_ 24 შუამდგომლობა აფხაზეთის მთავრობის წინაშე მატერიალური დახმარების თაობაზე (დაკმაყოფილდა -19);

_ 17 შუამდგომლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინაშე;

- 99 საპასუხო წერილი განმცხადებლებს (დევნილებს)და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მომზადდა:

_ ძირითადი საქმიანობის ამსახველი ბრძანების 8 პროექტი;

_ საკადრო ბრძანების (დანიშვნა-გათავისუფლება, გადაყვანა და შვებულება) 95 პროექტი;

_ შრომითი ხელშეკრულების 16 პროექტი;

_ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” ხელშეკრულების 47 პროექტი;

_დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებისათვის მომზადდა 38 ცნობა სამუშაოადგილის შესახებ;

_დანიშვნა-გათავისუფლებისა და საკადრო გადაადგილებებთან
დაკავშირებით, სისტემატურად ივსებოდა დეპარტამენტის საჯარო
მოხელეების პირადისაქმეები და შრომის წიგნაკები;

_ დეპარტამენტის თავმჯდომარის დავალებით მომზადდა 57 წერილის პროექტი;

_ მომზადდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული
თათბირის 12 ოქმი.

2013წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის **ბიუჯეტით** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 532948 ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 527568 ლარი.

მათ შორის:

- თანამდებობრივი სარგო - 302451 ლარი;
- პრემია - 37480 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 34650 ლარი;
- მივლინება - 2103 ლარი.

მათ შორის: ქვეყნის შიგნით - 503 ლარი; მივლინება ქვეყნის გარეთ (თურქეთში,დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით) – 1600 ლ.

- ოფისის ხარჯი - 29373 ლარი. შეძენილია საოფისე ინვენტარი – კომპიუტერული ტექნიკა (მონიტორი - 2 ცალი, პრინტერი, პროცესორი) 2080 ლარის ღირებულების, მობილური ტელეფონი 3 ცალი 462 ლარის ღირებულების, საოფისე სკამები 7 ცალი; - 224 ლარის ღირებულების, ტელევიზორი 1 ცალი - 399 ლარის ღირებულების, საოფისე სავარძელი 1 ცალი – 320 ლარის ღირებულების. გამათბობელი და გამაგრილებელიტექნიკა - კონდენციონერი 4 ცალი – 949 ლარი. ელექტროღუმელი – 10 ცალი 555 ლარის ღირებულების. ჟალუზები 300 ლარ, ჭურჭელი 299 ლარის ღირებულების.

ელექტროენერგიის ხარჯმა შეადგინა 8559 ლარი, წყლის ხარჯმა – 1250 ლარი, საოფისე ფართის მიმდინარე რემონტმა – 1590 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯმა – 4595 ლარი, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენის ხარჯმა შეადგინა 1168 ლარი, სხვადასხვა საოფისე მომსახურებაზე გახარჯულია 6623 ლარი.

- ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯი – დეპარტამენტის ბალანსზე 31.2013 წლის მდგომარეობით ირიცხება 3 სატრანსპორტო საშუალება და გაიხარჯა 27972 ლარი. მათ შორის საწვავი - 20988 ლარი, ა/მ მიმდინარე რემონტი 3000 ლარი, ა/მ სათადარიგო ნაწილები – 3984 ლარი.

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - სულ ხარჯი 6557 ლარი, მშ. - აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ესპანეთში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 4728 ლარი. ბანკის მომსახურების % - მა 389 ლარი, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯმა 1440 ლარი.

სოციალურიუზრუნველყოფის მუხლიდან გახარჯულია 83482 ლარი, მ.შ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და გაცემულია მატერიალური

დახმარების სახით 77860 ლარი, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით - 4008 ლარი და დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება – 1614 ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან გახარჯულია 3200 ლარი. შეძენილია კომპიუტერი 2 ცალი და დივანი 1 ცალი.

დეპარტამენტი შემდგომშიც განაგრძობსთავის საქმიანობას შემუშავებული გეგმის შესაბამისად და ზემდგომი ორგანოების დავალებების გათვალისწინებით.

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ცანავა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსს
ბატონ ოთარ გარმელიას

ბატონო ოთარ,

გაწვდით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ანგარიშს 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი

პატივისცემით,
დეპარტამენტის თავმჯდომარის
მოადგილე ვ. ცანავა